

ერთი დღეც დავიცალოთ

რალაც არ მახსენდება, რომ თბილისში მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ვინმეს ასე დაეჩაგროს “დინამო”, თანაც ისეთ ვითარებაში, როცა მასპინძლებს აუცილებლად ესაჭიროებოდათ თუნდაც ერთი გოლი მაინც. სიტყვა “დაჩაგვრაში” პირველ ყოვლისა თამაშის ხარისხს ვგულისხმობ, თორემ დამარცხება როგორ არ გვინახავს.

პირველი ტაიმი თბილისელებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს, მეორე – ძალზე ცუდად. ეს ფაქტია, და როგორც ხშირად ხდება, ფაქტი აღქმისთანავე მიზეზის ძიებას გვანწყობინებს. მით უფრო, როცა თითქმის ხელის გულზე გიდევს ორი სავსებით განსხვავებული ტაიმი. ერთში მონდომებაც არის, გოლის გატანის უნისც, წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისითაც თითქოსდა ყველაფერი რიგზეა – 30-ე წუთიდან მოყოლებული ტაიმის ბოლომდე “დინამომ” კიდევ ერთხელ და საკმაოდ იოლად დაამტკიცა, რომ ფეხბურთის თამაში იცის. მეორეში აღარც მონდომებაა, აღარც სიზუსტეა და ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, რომ გუნდმა უკვე შეისრულა წადილი – აღარც გოლი აინტერესებს, აღარც თამაში. მეტის თქმაც შეიძლება – “დინამო” იმ იშვიათი შეტევების დროსაც კი ყოვლად უხეირო გაგრძელებების მოძებნას “ახერხებდა”.

მიზეზებზე ვაპირებდით. პირველი, რაც ფიქრად მოგივა, დალლილობაა. მაგრამ თუნდაც დალლილი გუნდი, საკუთარ მინდორზე, იმ დროს, როცა პერსპექტივაში ნული ქულის მეტი არაფერი ჩანს, ბევრად ძლიერ მეტოქესთანაც კი ასეთი უსუსური არ გახდება. ეს ერთი, და მეორეც: იმ გაურანდავ, შეიძლება ითქვას, ანტიფეხბურთის, მთელი მეორე ტაიმი რომ მიმართავდა “დინამო” დალლილობით ვერ ახსნი. და თუ მაინცდამაინც ფეხბურთელთა ფიზიკურ კონდიციებზე ავიღებთ გეზს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს კონდიციები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მაშინ ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ ორკვირიანი შესვენება, დრო, თბილისელებს დასვენებისა და ვარჯიშისთვის რომ მიეცათ, გუნდმა სულ სხვა რამეს მოახმარა. ნუ ვიქნებით მეტისმეტად ურწმუნონი – “ლივერპულთან” საპასუხისმგებლო მატჩის წინ ამგვარი ფუფუნება ყოვლად წარმოუდგენელია.

მაშ რა? სად ვეძებოთ მიზეზი, “სპარტაკის” სათამაშო კლასში?

რამდენიმე თვეში ასეთი მეტამორფოზა არ ხდება, თან ერთიც გავიხსენოთ: ჩვენმა მეტოქემ როგორი მანერით, როგორი ტაქტიკითაც დაიწყო მატჩი, ისეც გააგრძელა. “სპარტაკი” კარგი იყო პირველ ტაიმში, მეორეში კი “დინამოს” სისუსტემ უფრო გამოაჩინა.

ამაზე იტყვიან მოჭადლოებული წრეო. სხვისა არ ვიცი, მაგრამ ჩვენთვის ეს მატჩი გამოცანად დარჩა (ვიმეორებ, საუბარი სავსებით არ ეხება მატჩის შედეგს). რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არ არის. სპეციალისტები ალბათ მოძებნიან გასაღებს, ყველაფერს ადგილს მიუჩენენ, ყველა კითხვის ნიშანს წერტილად აქცევენ. ჩვენ კი უკმაყოფილონი ვართ თუ განანწყენებული, ფიქრი მაინც ხვალინდელი მატჩისკენ გაგვირბის. კაცი იმედით ცოცხლობს და ეს იმედი, რაც არ უნდა მოხდეს, ფეხბურთის გულშემატკივარს არ მოეშლება.

“სპარტაკთან” შეხვედრის შემდეგ ასეთ სიტყვებს მოვკარი ყური: “ერთი “ლივერპულს” მოვეუკოთ და, ყველა თამაში წაუგიათ ჩვენებსო”. ზოგი ინგლისელებთან

მარცხზეც არის ყაბულს, ოღონდ ერთი პირობით – “დინამომ” პირი არ უნდა შეირცხვიანოს.

ძნელია, საეჭვოც კი არის ასეთი რამეების სასწორის პინაზე დადება. კაცია და გუნება, ზოგს რა უნდა, ზოგს – რა. მაგრამ იმ ფაქტს, რომ ჩემპიონთა თასზე კარგი თამაში ბევრ გულშემატკივარს მაღამოდ მოეცხება, მართლაც წყალი არ გაუვა.

მაგრამ კარგი თამაში მაინც ისეთი ცნებაა, დრო რომ შესამჩნევად აუფასურებს, კლუბის ძალა პრაქტიკულად მიღწეული შედეგით იზომება.

ჩვენი გუნდის მეტოქე ინგლისის 11-გზის ჩემპიონია, ორჯერ გაიმარჯვა უეფა-ს ტურნირში, ორჯერ ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა. ამ წარმატებათა მეტი წილი ბოლო წლებზე მოდის. გუნდში ინგლისის ნაკრების 4 წევრი თამაშობს, ამას გარდა ოთხი თუ ხუთი ფეხბურთელი შოტლანდიის, ირლანდიისა და უელსის ნაკრების მოთამაშენი არიან. ასე რომ, ძნელი სათქმელია, ვინ უფრო ძლიერია, ინგლისის ნაკრები თუ “ლივერპული”. სხვანაირადაც შეიძლება ითქვას – ჩვენი ხვალისდელი მეტოქე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივია.

ეს ყველაფერი მშვენივრად იცის გულშემატკივარმა და მაინც ამბობს: “თუ ლივერპულთან მოვიგეთ...” ეს უკვე იმედია, იმედს კი თუნდაც სულ მცირე საფუძველი მაინც უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, რომ ეს საფუძველი ფეხბურთის მოყვარულის მესხიერებაში შემორჩენილი თბილისელთა საუკეთესო მატჩებია, ისიც, რომ მეტოქემ შეიძლება ჯეროვნად ვერ შეათვასოს “დინამოს” შესაძლებლობანი. ვიყოსთ გულახდილნი და ვთქვათ ასე, დარწმუნებული ვარ, არაფერი გაფუჭდება.

ძალზე უხეიროდ ითამაშა ბოლო მატჩი “დინამომ”, მაგრამ ინგლისში განწირული არ გამგზავრებულა, თუნდაც იმიტომ, რომ წინასწარ გამარჯვებულები არ არსებობენ. არც სამკითხაოდ დაგვრჩა დიდი დრო – გულშემატკივარი მომთმენია და ერთ დღეს როგორმე დაიცდის.

ი. ბერიაშვილი.

18 სექტემბერი, 1979 წ.